თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-13440-24
27 / 03 / 2024

შპს „ლისი ფიჭვები”-ს დირექტორს
ბათია ჯანაძეს

ბატონო ბათია,

თქვენი მიმდინარე წლის 29 თებერვლის №02-13-13440-24 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, ცაცხვების ქუჩა №19-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.18.009.112) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან და გენგეგმის დამოწმებასთან დაკავშირებით კომპანიის პოზიციის დაფიქსირებას გაცნობებთ, რომ მოხდა საკითხის ადგილზე შესწავლა. აღნიშნული საკადასტრო ერთეულის სიახლოვეს გადის კომპანიის კუთვნილი მიწისქვეშა **D=500 მმ-იანი** და **D=400 მმ-იანი** მაღალი და **D=63 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენები. შპს ,,თბილისი ენერჯი“ არ არის წინააღმდეგი მოიპოვოთ სამშენებლო სამუშაოების წარმოების ნებართვა თქვენი მხრიდან შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- მანძილი მიწისქვეშა **D=500 მმ-იანი** და **D=400 მმ-იანი** მაღალი წნევის მილსადენების ღერძიდან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის საძირკვლამდე განისაზღვროს არანაკლებ **10 (ათი)** მეტრით საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანების - „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების“ წესების შესაბამისად;
- მანძილი მიწისქვეშა **D=63 მმ-იანი** საშუალო წნევის მილსადენის ღერძიდან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის საძირკვლამდე განისაზღვროს არანაკლებ **4 (ოთხი)** მეტრით საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანების - „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების“ წესების შესაბამისად.

რაც შეეხება გენგეგმას გაცნობებთ, რომ დასამოწმებლად უნდა წარმოადგინოთ ასაშენებელი ობიექტის ელექტრონული გენგეგმა DWG-ფაილის სახით UTM-WGS-1984 წლის პროექციაში, ასევე დეტალური PDF-ვერსია 1:500 მასშტაბით, სადაც დატანილი იქნება პირობითი აღნიშვნები, შემსრულებლის ხელმოწერა და ბეჭედი, კომპანიის გაზსადენი, უსაფრთხოების ზონების დაცვის გათვალისწინებით.

წარმოგიდგენთ აღნიშნულ ტერიტორიაზე მილსადენების განლაგების სქემატურ ნახაზს.

შეთანხმება ძალაშია 6 (ექვსი) თვის ვადით.

დანართი: სქემატური ნახაზი - 1 (ერთი) ფურცელი;

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში


1:300
ჩ
დ
ა
ს
D=400
D=500
D=63 PE
პირობითი აღნიშვნები
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
10 მეტრიანი შეზღუდვის ზონა
4 მეტრიანი შეზღუდვის ზონა
მიწის ნაკვეთი ს/კ 01.10.18.009.112
თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY

თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-24147-24
26 / 04 / 2024

შპს „ლისი ფიჭვები“-ს დირექტორს
ბათია ჯანაძეს

ბატონო ბათია,

თქვენი მიმდინარე წლის 17 აპრილის №02-13-24147-24 განცხადების პასუხად გიგზავნით შპს ,,თბილისი ენერჯი“-ს ბეჭდით დამოწმებულ გენგეგმას და გაცნობებთ, რომ აუცილებელია იხელმძღვანელოთ 2024 წლის 29 თებერვლის №02-13-13440-24 წერილში მითითებული პირობის გათვალისწინებით.

დანართი: დამოწმებული გენგეგმა - 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,


გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

ს №94

ხაზოვანი ნაგებობები და მიწისქვეშა სართულის გეგმა -3.100 ნიშნულზე


არქიტექტურული პროექტი

გეგმარებითი ნაწილი



შეთანხმებულია
შპს თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY LTD
ტექნიკური დოკუმენტაცია
სარეგისტრაციო № 02-13-24144-24
26 04 2024 წ.
№02-13-13440-24 წერილით
მითითებული მოთხოვნების
გათვალისწინებით.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი



შენობის 0,000 ნიშნული შეესაბამება აბსოლიტური ნიშნულის 690,45 მეტრს

შპს " თბილისი ენერჯის" საკუთრებაში

არსებული მიწისქვეშა გაზსადენი

დირექტორი	ა. ნაცვლიშვილი
პრ. ავტორი	ლ. გოგიტიძე
შემსრულებელი	ლ. შენგელია
ფაზა	ფურც.	ფურცლების რაოდენობა	მასშტაბი	თარიღი
			A 3	22.06.18

პროექტის ავტორები
მიწისქვეშა ნაგებობა

შპს არქიბრამ

ARCHIGRAM